სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-12

გორი 12 02 2018 წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2018 წლის 18 იანვრის N1-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის (№1-03, 18.01.2018) ბრძანებისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (N146437, 12.02.2018) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2018 წლის 18 იანვრის N1-03 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სტუდენტი, უნივერსიტეტის მიერ მისი კრედიტების აღიარების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, ვალდებულია ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით თანხმობა/უარი განაცხადოს არაუგვიანეს 2018 წლის 16 თებერვლის ჩათვლით;"

2. ეს ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის N52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის N 30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი